02/04/2020

ათონის მთაზე კორონავირუსი კიდევ ორ ბერს დაუდასტურდა

კორონავირუსი დაუდასტურდა ათონის მთის მონასტრის კიდევ სამ ბერს, რომლებიც მანამდე დაინფიცირებულ 55 წლის ბერთან ერთად დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდნენ.

კორონავირუსის პირველი შემთხვევა ათონის მთის მონასტრის ბერს 28 მარტს დაუდასტურდა, ის სალონიკის კლინიკაში მკურნალობს.

სამი ინფიცირებული ბერის ასაკი 40-დან 55 წელია. სამივე სალონიკის კლინიკაშია გადაყვანილი.

ოთხივე ინფიცირებული ბერი ინგლისსა დ შოტლანდიაში 5-დან 17 მარტამდე იმყოფებოდა.

ათონის მთის დიდ მონასატერში, სადაც ბერები ცხოვრობდნენ, სადეზინფექციო სამუშაოები მიმდინარეობს.
dogma.ge